სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**თურქოლოგია** **Turkology**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **თურქოლოგიის მაგისტრი** **Master of Turkology** სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი **კვლევის მაგისტრი თურქოლოგიაში / Master of Research in Turkology**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 40 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS სასწავლო კრედიტის დაგროვება. სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი: 60 ECTS კრედიტი • სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ECTS კრედიტი • არჩევითი სასწავლო კურსები: 10 ECTS კრედიტი • სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 60 ECTS კრედიტის დაგროვება და პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის (30+30 ECTS კრედიტი) შესრულება.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მარიკა ჯიქია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ბჟალავა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის წინაპირობაა: • ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ენის დაუფლების დეტალურ სფეროში შემავალ კვალიფიკაციაში: 0231.1.16 თურქული ფილოლოგია/ თურქოლოგია Turkish Philology/Turkish Studies

	0388 ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს კვალიფიკაცია: 0388.1.3 ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევები ძველი კლასიფიკატორის მიმართულებათშორისი კვალიფიკაცია „აღმოსავლეთმცოდნეობა“ • პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ასევე ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს დამატებითი (minor) პროგრამა თურქოლოგიაში/თურქულ ფილოლოგიაში ან წარმოდგენილი აქვს თურქული ენის B2.1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატი ან სრული საგანმანათლებლო კურსის გავლის დიპლომი. • ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; • უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით); • წერითი გამოცდა თურქულ ენაში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე** (60 კრედიტი) სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებულ **თურქოლოგიის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის II ნაწილზე სწავლის გაგრძელების დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დებულებით, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ორგანული გაგრძელებაა საბაკალავრო პროგრამის, თავისი არსითა და დანიშნულებით ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. პროგრამაში ჩართული რიგი სასწავლო კურსები იკითხება თურქულ ენაზე, რომლის მიზანია ქართველ სტუდენტებს გაუღრმავოს დარგობრივი ცოდნა პრაქტიკული ენობრივი კომპეტიენციის გაუმჯობესებით. **თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის მიზანია** • სტუდენტს მისცეს ღრმა და ფუნდამენტური პრაქტიკული ცოდნა თურქოლოგიის დარგში;

	• აღჭურვოს სტუდენტი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით თურქეთის ყოფითი კულტურის, თურქული სამეტყველო ეტიკეტისა და ოფიციალრი საქმიანი სტილის; თურქული პრესის ენისა და თურქული ენის ისტორიის შესახებ; • მისცეს კომპლექსური ცოდნა საქართველოსა და თურქეთელ ქართველებზე, დიასპორაზე და მიგრაციაზე მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში; ისლამსა და გენდერზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში; • გამოუმუშავოს სამაგისტრო სწავლების დონისათვის გათვალისწინებული პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები. • გამოუმუშავოს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი. **თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილი,** რომელიც ორგანული გაგრძელებაა პროგრამის პირველი ნაწილისა, თავისი არსითა და დანიშნულებით ორიენტირებულია როგორც საქართველოს აკადემიური სივრცისა და დასაქმების ბაზრის საჭიროებებზე, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე. პროგრამაში ჩართული რიგი სასწავლო კურსები იკითხება თურქულ ენაზე, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, ქართველ სტუდენტებს გაუღრმავოს დარგობრივი ცოდნა პრაქტიკული ენობრივი კომპეტიენციის გაუმჯობესებით, ხოლო მეორე მხრივ, უპასუხოს გაცვლითი პროგრამების (Mevlana; Erasmus+) სტუდენტების საჭიროებებს. **თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია:** • სტუდენტს მისცეს ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა თურქოლოგიის დარგში რათა მან შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა დარგის განვითარებაში; • უზრუნველყოს პროგრამის კურსდამთავრებულის მაღალი ენობრივი მომზადების დონე, აღჭურვოს კვლევის მაგისტრი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნითა დ კვლევითი უნარებით თურქული ენის ზოგადთეორიული ლინგვისტური ასპექტებისა და თურქულენოვანი ლიტერატურის კვლევის, თურქულენოვანი სამყაროს სოციოკულტურული მახასიათებლების შესწავლისა და კვლევითი პრობლემატიკის (თურქეთის ისტორიის, რელიგიის, ყოფითი კულტურის და სხვ.) შესახებ; • მისცეს ღრმა და სისტემური, კომპლექსური ცოდნა

	საქართველოსა და ქართველების შესახებ ოსმალურ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, თურქეთელ ქართველებზე, დიასპორაზე და მიგრაციული პროცესების თანამედროვე ასპექტებზე, მათ შორის მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში ინტეგრაციისა და იდენტობის ტრანსფორმაციის საკითხებზე; ისლამის სამეცნიერო-კვლევით პრობლემტიკასა და ქალთა უფლებრივ საკითხებზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რელიგიასა და პოლიტიკაზე თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; • გამოუმუშავოს სამაგისტრო დონისათვის გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების კრიტიკული გააზრებისათვის საჭირო კვლევითი და ანალიტიკური უნარ-ჩვევები. • აღჭურვოს მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობით და ავტონომიური უნარებით; გამოუმუშავოს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი.
სწავლის შედეგები	თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ სტუდენტი იძენს უახლეს მონაცემებზე დამყარებულ ცოდნას, თურქული ენის, ეთიკის, ყოფითი კულტურის, რელიგიის, თურქულ ქართული ურთიერთობების სოციალ- ეკონომიკურ და კულტურის საკითხებში. სტუდენტს აქვს შემეცნებითი საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი ღირებულებები, როგორიცაა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და აზროვნების ღიაობა. პროგრამის კურსდამთავრებულები ენობრივად კარგად არიან მომზადებული პრაქტიკულ სფეროში დასაქმებისათვის.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული თურქოლოგიის მაგისტრი • სისტემურად აღწერს და მიმოიხილავს თურქული ენის და დიალექტების, თურქული წარმომავლობის ხალხთა ლიტერატურის განვითარების ისტორიას; • აღწერს და მიმოიხილავს თურქების ყოფით კულტურას და თურქიზმებს ქართულში; • აღწერს და ადარებს თურქეთელი ქართველების მიგრაციას მეორე და მესამე კულტურის ქვეყნებში, ისლამისა და ქალთა უფლებების პრობლემატიკას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.
ბ) უნარები	• წარმატებით იყენებს პრაქტიკაში თურქულ საზოგადოებაში დაწესებულ სამეტყველო ეტიკეტს და

	ოფიციალურ საქმიან ურთიერთობაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას; • ეფექტიანად იყენებს პრაქტიკაში თურქული პრესისა და პუბლიცისტური ტექსტებისთვის დამახასიათებელ დარგობრივ ლექსიკას, თარგმნის, განმარტავს და აანალიზებს თურქულ ტექსტებს;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• იცავს აკადემიური ეთიკის პრინციპებს: • ავლენს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარს.
სწავლის შედეგები	თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ თურქოლოგიის კვლევის მაგისტრი იძენს უახლეს კვლევებზე დამყარებულ ცოდნას, თურქული ენის, ეთიკის, ყოფითი კულტურის, რელიგიის, თურქულ ქართული ურთიერთობების სოციალ-ეკონომიკურ და კულტურის ასპექტების კვლევით პრობლემატიკაზე. სტუდენტს აქვს აკადემიური კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი ღირებულებები, როგორიცაა კეთილსინდისიერება, ობიექტურობა და აზროვნების ღიაობა, პროფესიული პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხი. პროგრამის კურსდამთავრებულები კარგად არიან მომზადებული როგორ სამეცნიერო-კვლევით სფეროში დასაქმებისათვის, ისე სწავლების შემდგომ საფეხურზე კარიერის გაგრძელებისთვის.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის კურსდამთავრებული თურქოლოგიის კვლევის მაგისტრი • ავლენს სასპეციალიზაციო თურქულ ენაში მაღალი ენობრივი მომზადების დონეს, სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს თურქული ენის, ლიტერატურის და დიალექტოლოგიის კვლევის თეორიულ საფუძვლებს და მეთოდოლოგიას; • აღწერს და მიმოიხილავს ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში დაცულ ცნობებს საქართველოსა და ქართველების შესახებ.
გ) უნარები	• კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებს; • წარმატებით იყენებს ენის ფლობის მაღალ დონეს

	აკადემიურ საქმიანობაში; • დამოუკიდებლად ირჩევს აქტუალურ საკვლევ თემატიკას, განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიულ ჩარჩოს, აგებს კვლევის დიზაინს, გამოკვეთს საკითხის კვლევით ღირებულებას დარგის განვითარების თვალსაზრისით;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• იცავს აკადემიური ეთიკის პრინციპებს: განვითარებული აქვს სამეცნიერო მოსაზრებების დამოწმების კულტურა და არ მიმართავს პლაგიატს. • დამოუკიდებლად წარმართავს თურქოლოგიის სფეროში განათლების მუდმივი გაღრმავებისა და საკუთარი პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების პროცესს უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივ აკადემიურ წრეებთან პროფესიული კონტაქტების დამყარების საშუალებით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ლექციები და მეცადინეობები ინტერაქტიულია და ორიენტირებულია სტუდენტების აქტიურ ჩართულობაზე. გამოიყენება ვერბალური (ინტერაქცია, დიალოგი); პრაქტიკული; ჯგუფური მუშაობის; ევრისტიკული; ინდუქცია/დედუქციის, ანალიზ-სინთეზის და ელექტრონული სწავლების მეთოდები, ასევე, დისკუსია/დებატებისა და კითხვა-პასუხების ინტერაქტიული პრაქტიკა.
შეფასების სისტემა	**შეფასების მოქმედი სისტემა გულისხმობს:** **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას –** (A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას –** (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა (აღნიშნული შეფასება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლებას აძლევს; 41-50 ქულა, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, რაც მან დამოუკიდებლად, ლექტორის დაუხმარებლად უნდა შეძლოს). (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები (აღნიშნული შეფასება მოწმობს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანის გავლა ხელმეორედ მოუწევს). **FX-ის მიღების შემთხვევაში** დამატებითი გამოცდა ინიშნება

	დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა (და არა დასკვნითი გამოცდის ქულები) ემატება გამოცდამდე დაგროვილ ქულათა რაოდენობას და ორივე ერთად ქმნის კურსის საბოლოო შეფასებას. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ჰქონდეს არანაკლებ **21** ქულისა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდნტი დააგროვებს დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების ნახევარს. თუ კურსის საბოლოო შეფასება 50-ს არ აღემატება (0-50 ქულაა), ფორმდება F– 0 ქულა. შესაბამისად, სასწავლო კურსის საბოლოო მინიმალური დადებითი შეფასება 51 ქულაა. ერთი და იმავე სავალდებულო საგანში სამჯერ F შეფასების მიღება წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს მობილობით. კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება საჯარო დაცვაზე, სადაც მაგისტრანტი დაიშვება ნაშრომის წინასწარი დაცვის წარმატებით გავლის, სამეცნიერო ხელმძღვანელის სათანადო დასკვნისა და სამაგისტრო ნაშრომის Turnitin ელექტრონულ პროგრამაზე პლაგიატის პრევენციის მიზნით გატარების შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია დარგის სპეციალისტის რეცენზია (მაქს. 60 ქულიდან მინიმუმ 31 ქულის მიღების გარეშე საჯარო დაცვაზე მაგისტრანტი პრეზენტაციით ვერ წარსდგება) და მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია დაცვის კომისიის წინაშე (მაქს. 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულის მიღება აუცილებელია). სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის შეფასების ჯამს. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება 51 ან მეტი ქულის ტოლია. სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

დასაქმების სფეროები	თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს საქართველოს ყველა სახელმწიფო თუ არასამთავრობო საზოგადოებრივ დაწესებულებაში, კერძოდ: • საგანმანათლებლო, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროფილის მქონე ორგანიზაციებში (სამაგისტრო განათლების შესაბამის პოზიციებზე); • ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში; • არქივებში; • საგამომცემლო ორგანიზაციებში; • საჯარო და კერძო სექტორში სასპეციალიზაციო და ზოგადტრანსფერული უნარების საფუძველზე. • თურქულენოვან ქვეყნებში საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	- საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; - სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ აღმოსავლეთ-მცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომ-ლები: 1. მარიკა ჯიქია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 2. ნანი გელოვანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 3. ელისაბედ ბჟალავა, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; 4. ნანული კაჭარავა, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; 5. ქეთევან ლორთქიფანიძე ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; 6. მირიან მახარაძე ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი; 7. მზისა ბუსკივაძე, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი; და მოწვეული ლექტორები: 1. ნინო ოქროსცვარიძე ისტორიის დოქტორი; 2. ელიდა კვანტალიანი ფილოლოგიის დოქტორი; 3. გუჩა ქუთათელაძე - აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრის დოქტორანტი. 4. ომიკო ეჯიბია, ასისტ. პროფესორი
პროგრამის ფინანსური	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება თსუ-ს ჰუმ-

უზრუნველყოფა	ანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სამეცნიერო და საგანმანთლებლო ღონისძიებების ჩატარებას.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ახალი ფორმითა და სტრუქტურით შედგენის საჭიროება, ნათლად დაგვანახა აქამდე მოქმედმა, 12 წლიანი ბეგრაუნდის მქონე თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ანალიზმა, სტუტენტებისა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნილებამ და საჭიროებებმა, თსუ-ის თურქეთის მთავრობის მიერ ინიცირებული Mevlana-ს (პროგრამა გულისხმობს მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტბთან თანამშრომლობას) გაცვლით პროგრამაში ჩართვამ და Erasmus+ საერთაშორისო გაცვლით პროგრამის ფარგლებში თურქული უნივერსიტეტების აქტიურობამ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის ამოცანა და მიზნებია: • ჰქონდეს ლოგიკური ბმა თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამასთან და კურსდამთავრებულებს შესთავაზოს ხარიასხიანი და ფართო სპექტრის ცოდნა თურქოლოგიის დარგში; • პროგრამაში მაქსიმალურად გათვალისინებული იყოს დამსაქმებლის ინტერესები: ბოლო პერიოდში თურქეთი სამედიცინო ტურიზმის სექტორში ფლაგმან ქვეყანად იქცა, რამაც გაზარდა სამედიცინო სექტორში დარგობრივი სპეციფიკის მცოდნე სპეციალისტებზე მოთხოვნა. პროგრამა მსურველებს სთავაზობს სამაედიცინო დოკუმენტაციის თარგმნის პრაქტიკულ კურსს; • პროგრამა ითავლისწინებდეს კურსდამთავრებულების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და პოტენციური სტუდენტების სურვილებს, კერძოდ: თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა თავისი ვიწრო ფილოლოგიური პროფილით უზღუდავდა მაგისტრანტს საკვლევი თემატიკის არეალს როგორც მაგისტრატურის ისე შემდგომ, დოქტორანტურის საფეხურზე, შესაბამისად პროგრამის ფორმამ და შინაარსმა განიცადა რადიკალური ცვლილება და ფაქტობრივად შეიქმნა ახალი პროგრამა, რომელიც სტუდენტს სთავაზობს საკვლევი თემატიკის ფართო არეალს, ეს შეიძლება იყოს თურუქლი ენა, ლიტერატურია, კულტურა, ისტორია, თურქეთელი

	ქართველები, დიასორა და სხვა • თურქეთის მიმართულებით გაზრდილი საერთაშორისო თანამშრომლობისა (თსუ გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი 29 თურუქლ უნივერსიტეტთან მათ შორის ისეთ პრესტიულ უმაღლეს სასწავლებლებთან როგორიცაა ბილკენტი, ჰაჯეტეპე, სტამბოლის უნივერსიტეტი და სხვა) და სტუდენტების მხრიდან გამოთქმული საჭიროებების გათვალისწინებით, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დისციპლინების 50% წაიკითხება თურქულ ენაზე. რაც ერთი მხრივ საშუალებას მისცემს გაცვლითი პროგრამის სტუდენტებს მოისმინონ და გაეცნონ ქართველი მეცნიერების ნაშრომებსა და მიგნებებს, მეორე მხრივ კი ქართველმა სტუდენტებმა აიმაღლონ პრაქტიკული ენის კომპეტენცია და გაიუმჯობესონ დარგობრივი ლექსიკა. სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს ერთი სემეტრი გაატარონ თურქეთის რომელიმე უნივერსიტეტში გაცვლითი სტუდენტის სტატუსით: • თურქეთის მთავრობის მიერ ინიცირებული “მევლანას” გაცვლითი პროგრამა; • ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ერაზმუს+ „გაცვლითი პროგრამა; გარდა ზემოჩამოთვლილი აქტივობებისა პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორცილებელი პერსონალი იზრუნებს სტუდენტების ინფორმირებულობასა და ჩართულობაზე სხვადასხვა ტიპის გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში: • საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და განათლების სამრჩევლოს ეგიდით, საქართველოს მასშტაბით, თურქოლოგიის პროგრამის სტუდენტებისათვის ყოველწლიურად (2000 წლიდან) ტარდება ქართულიდან თურქულად თარგმანების კონკურსი. საუკეთესო სამი თარგმანის ავტორს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. აღნიშნული კონკურსი მეტ მოტივაციას უჩენს სტუდენტებს რათა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ თურქული ლიტერატურა და უკეთესად დაეუფლონ ენობრივ კომპეტენციებს; • თბილისის იუნუს ემრეს სახელობის თურქული კულტურის ცენტრში ყოველთვიურად ტარდება სემინარები ”საუბრები თურქულ ლიტერატურაზე” სადაც სტუდენტებს ეძელვათ

	საუშუალება მოუსმინონ თურქეთიდან მოწვეულ დარგის სპეციალისტებს, დაუსვან შეკითხვები და გაიღრმავონ ცოდნა მათთვის საინტერესო მიმართულებით. • თსუ თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ ინდივიდუალურად ჩაერთონ საერთაშორისო სასწავლო სტიპენდიების საკონკურსო პროგრამებში რომლიც შესახებაც მუდმივად იქნებიან ინფორმირებულები. თურქეთის მთავრობის მიერ გამოცდახებული სტიპენდიები “Türkiye Burslar” (საქართელოსთვის დაშვებულია ცალკე კვოტა) თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი სისტემატურად მასპინძლობს ახლო აღმოსავლეთისა და ევროპისა წამყვანი უნივერსიტეტების აღმოსავლეთმცოდნე პროფესორებს, რომლებიც ინტენსიურ სალექციო კურსებს, საჯარო ლექციებსა და კონსულტაციებს სთავაზობენ ინსტიტუტის სამივე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომელთა შორისაც იქნებიან თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებიც.